საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

ქ. თბილისი **2020 წლის 12 ოქტომბერი**

დისციპლინური საქმე №92/313-18-2
მოსამართლე -- -- მიმართ
დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ

-- -- და -- -- 2018 წლის 24 დეკემბრის №-- საჩივრის საფუძველზე „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[5] მუხლის პირველი პუნქტის „ა“ ქვეპუნქტის და 75[6] მუხლის შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ მოსამართლე -- -- მიმართ დაიწყო დისციპლინური სამართალწარმოება და წარმოდგენილი საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმება.

დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 28 მაისის №92/313-18 დასკვნა საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს განსახილველად წარედგინა 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე.

1. დისციპლინური დევნის დაწყების საფუძვლიანობის შემოწმება განხორციელდა საჩივარში მითითებულ შემდეგ ფაქტებზე:

საჩივრის ავტორი აღნიშნავს, რომ მოსამართლე -- -- მითითებით, მოსამართლე -- -- არ მისცა საშუალება ადვოკატთან ერთად წარედგინა მოსაზრებები და დაეცვა მისი ინტერესები, აგრეთვე, შეეფასებინა საქმეში არსებული მტკიცებულებები. აგრეთვე, იგი მოსამართლე -- -- მითითებით უძღვებოდა სხდომას, რათა გამოეტანა -- -- სასარგებლო გადაწყვეტილება.

2. დისციპლინური საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების შედეგად დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები:

-- -- და -- -- 2016 წლის 30 ნოემბერს სარჩელით მიმართეს -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიას, -- -- სააგენტოს, -- -- და საქართველოს იუსტიციის სამინისტროს სსიპ საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს მიმართ, ინდივიდუალური ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტების და ადმინისტრაციული ხელშეკრულების ბათილად/ძალადაკარგულად ცნობის მოთხოვნით.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილებით, -- --, -- -- სარჩელი დაკმაყოფილდა ნაწილობრივ.

-- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება სააპელაციო წესით გაასაჩივრა -- -- სააგენტომ და -- -- მუნიციპალიტეტის მერიამ, რომლებმაც მოითხოვეს გასაჩივრებული გადაწყვეტილების გაუქმება და საქმეზე ახალი გადაწყვეტილების მიღებით სარჩელის დაკმაყოფილებაზე უარის თქმა.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის -- -- 2018 წლის 03 იანვრის განჩინებით, -- -- სააგენტოს და -- -- მუნიციპალიტეტის მერიის სააპელაციო საჩივრები მიღებული იქნეს განსახილველად. ამავე განჩინებით, ადმინისტრაციულ საქმეზე განხილვის საპროცესო ვადა გაგრძელდა 5 თვემდე.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის მოსამართლის -- -- 2018 წლის 26 მარტის განჩინებით, საქმეზე დაინიშნა ზეპირი განხილვა. საქმის განხილვა გაიმართა 2018 წლის 24 აპრილს, 05 ივნისს და 02 ოქტომბერს.

-- სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის (თავმჯდომარე, მომხსენებელი - -- -- , მოსამართლეები - -- --, -- --) 2018 წლის 10 ოქტომბრის განჩინებით, -- -- მუნიციპალიტეტის მერიის და -- -- სააგენტოს სააპელაციო საჩივრები დაკმაყოფილდა, გაუქმდა -- -- სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 31 ოქტომბრის გადაწყვეტილება და -- -- და -- -- უარი ეთქვათ სარჩელის დაკმაყოფილებაზე.

3. დამოუკიდებელი ინსპექტორის 2019 წლის 28 მაისის დასკვნა:

-- -- და -- -- 2018 წლის 24 დეკემბრის №-- საჩივრის საფუძვლიანობის წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებები არ შეიცავს მოსამართლე -- -- მიერ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-2 პუნქტით განსაზღვრული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ნიშნებს (2020 წლის 01 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

4. დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ წინასწარი შემოწმების და გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების სამართლებრივი შეფასება:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ბ.“ ქვეპუნქტის თანახმად, დისციპლინურ გადაცდომად ჩაითვლება „მოსამართლის მიერ სხვა მოსამართლის საქმიანობაში ჩარევა საქმის შედეგზე ზეგავლენის მოხდენის მიზნით“ (2020 წლის 01 იანვრამდე მოქმედი რედაქცია).

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, „დისციპლინური გადაცდომა არის მხოლოდ ამ კანონით გათვალისწინებული, მოსამართლის მიერ ჩადენილი განზრახი ან გაუფრთხილებლობითი ქმედება.“ დისციპლინურ გადაცდომად შეიძლება მიჩნეულ იქნას მხოლოდ ისეთი ქმედება, რომელიც დისციპლინური გადაცდომის სახეების ჩამონათვალში, „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტშია მოცემული.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-8 მუხლის მე-2 ნაწილის თანახმად, მოსამართლეზე რაიმე ზემოქმედება ან მის საქმიანობაში ჩარევა გადაწყვეტილების მიღებაზე ზეგავლენის მიზნით აკრძალულია და ისჯება კანონით.

სასამართლოს დამოუკიდებლობა წარმოადგენს საშუალებას, რომლითაც უზრუნველყოფილია მოსამართლის მიუკერძოებლობა. შესაბამისად აღნიშნული წარმოადგენს ყველა მოქალაქის (და ხელისუფლების სხვა შტოების) სასამართლოს წინაშე თანასწორობის გარანტიის წინაპირობას.[1]

სასამართლოს დამოუკიდებლობის პრინციპი გულისხმობს თითოეული ინდივიდუალური მოსამართლის დამოუკიდებლობას მართლმსაჯულების განხორციელებისას. გადაწყვეტილების მიღების პროცესში მოსამართლეები უნდა იყვნენ დამოუკიდებელნი და მიუკერძოებელნი, შეეძლოთ შეზღუდვების გარეშე მოქმედება, არ განიცდიდნენ არალეგიტიმურ ზეწოლას, გავლენას, მუქარას ან

[1] ევროპის მოსამართლეთა საკონსულტაციო საბჭოს №18 დასკვნა, § 22

ჩარევას პირდაპირ ან ირიბად ნებისმიერი ძალაუფლების ცენტრის მხრიდან მათ შორის, სასამართლოს სისტემაში. სასამართლოს იერარქიულმა მოწყობამ არ უნდა მოახდინოს გავლენა ინდივიდუალურ დამოუკიდებლობაზე.[2]

მოსამართლეთა დიდი ქარტიის თანახმად, მართლმსაჯულების აღსრულებისას მოსამართლეები არ უნდა დაექვემდებარონ რაიმე ბრძანებას, ინსტრუქციას ან იერარქიულ ზეწოლას და უნდა იყოს შებოჭილი მხოლოდ კანონით.

სასამართლოზე ზეგავლენის ნებისმიერი მცდელობა მხოლოდ სასამართლოს დარბაზით უნდა შემოიფარგლებოდეს და მხოლოდ დავის მხარეებისა და ადვოკატებისაგან უნდა მომდინარეობდეს. მოსამართლემ არ უნდა დაუშვას, რომ ოჯახური, საზოგადოებრივი ან პოლიტიკური ურთიერთობები რამენაირად აისახოს სასამართლო გადაწყვეტილებებზე.[3]

აღსანიშნავია, რომ საქმის მასალების დეტალური შესწავლის, მათ შორის სხდომის ოქმების მოსმენის შედეგად, არ გამოვლენილა მოსამართლე -- -- მოსამართლე -- -- მხრიდან რაიმე სახის მითითების მიცემის ფაქტი.

აღნიშნულის დამადასტურებელი რაიმე სახის მტკიცებულება არც საჩივრის ავტორის მიერ ყოფილა წარმოდგენილი.

ამდენად, არ დასტურდება მოსამართლის მხრიდან „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[1] მუხლის მე-8 პუნქტის „ა.ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი.

5. საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ გადაწყვეტილების მიღების სამართლებრივი საფუძვლები:

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის პირველი პუნქტის მე-2 პუნქტის თანახმად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭო იღებს დასაბუთებულ გადაწყვეტილებას მოსამართლის მიმართ დისციპლინური სამართალწარმოების შეწყვეტის შესახებ, თუ დისციპლინური საქმის გამოკვლევის შედეგად მოსამართლის მიერ ამ კანონით გათვალისწინებული დისციპლინური გადაცდომის ჩადენის ფაქტი ან ბრალეული ჩადენა არ დადასტურდა.

„საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლის მე-3 პუნქტის თანახმად, სადისციპლინო საკითხზე გადაწყვეტილება მიღებულად ითვლება, თუ მას ფარული კენჭისყრით მხარს დაუჭერს საბჭოს სრული შემადგენლობის არანაკლებ 2/3-ისა.

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ დამოუკიდებელი ინსპექტორის მიერ საჩივარზე შესაბამისი გარემოებების გამოკვლევის შედეგად დადგენილი ფაქტობრივი გარემოებების შეფასების შედეგად მიიჩნია, რომ „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 75[12] მუხლის მე-2 პუნქტის თანახმად, მოსამართლის მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება. შესაბამისად, საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ 2020 წლის 12 ოქტომბრის სადისციპლინო სხდომაზე ჩატარებული ფარული კენჭისყრის შედეგად (სადისციპლინო სხდომაზე დამსწრე იუსტიციის უმაღლესი საბჭოს 14 წევრთაგან 14 ხმით, სრული შემადგენლობის 2/3-ის უმრავლესობა), მიიჩნია, რომ მოსამართლე -- -- მიმართ უნდა შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

---

[2] https://rm.coe.int/cmrec-2010-12-on-independence-efficiency-responsibilites-of-judges/16809f007d გვ. 9, §22

[3] მოსამართლეთა ქცევის ბანგალორის პრინციპები და კომენტარები, GIZ, თბილისი 2015, გვ. 71-72

საქართველოს იუსტიციის უმაღლესმა საბჭომ იხელმძღვანელა „საერთო სასამართლოების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის 50-ე მუხლით და 75[12] მუხლის მეორე პუნქტით და

გ ა დ ა წ ყ ვ ი ტ ა:

დისციპლინურ საქმეზე №92/313 მოსამართლე -- -- მიმართ შეწყდეს დისციპლინური სამართალწარმოება.

გიორგი მიქაუტაძე

საქართველოს იუსტიციის
უმაღლესი საბჭოს მდივანი